

# პრსენაღი



საქართველოს  
საგარეო  
აღმოსაშრის  
მინისტრო

13/12

№ 5 (22). გეილი. 2006. „პვირის პალიზგა“. სეპტემბრო-ნოემბრიანი ჟურნალი. ფანი 1,5 ლარი

**ანტიგერორისტული  
შენგრი —  
ახალი რუსული  
საფანგი  
საქართველოსთვის**

**ზეგბერითი  
სიჩქარე**

1425 /2  
2006

**NATO —  
დესაგევიდან  
დღემდე**

**დაპირისპირება  
ფოროსთან**

**ზაუი  
რემოკიდებული  
თვითფრინავი**

**პნეუმეგური  
პისტოლები —  
სახიფათო სთაგეპო**





რუსული  
„რულეტის“  
მთავარი  
აზრიზები

54



საგანგებო  
იარაღი  
გეგარი  
ბიჭუხისთვის

19




ცაუი  
ჩამოქიღებული  
თვითმფრინავი

25

ახალი  
რუსული  
ხაფანგი  
საქართველოსთვის

15



როგორ  
შოულოგან  
გორგომოქვედები  
მილიონებს

34



PORSCHE  
CAYENNE  
გარჩენალი  
ლაიფსტილიდან

50



# სარჩები

- კალედოსკოპი
- 4 მოკლე ინფორმაციები
- კალედოსკოპი
- 6 უცხოეთის ამბები
- ექსპერტის აზრი
- 8 15 წელი ქართული არმიის ასაშენებლად
- მეთხველის გვერდი
- 10 ზებგერითი სიჩქარე
- ინციდენტი
- 12 დაპირისპირება ფოროსთან
- სპეცსამსახურები
- 15 ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრი სამხედრო ბაზების ნაცვლად
- სპეციარალი
- 19 საგანგებო იარაღი სპეცრაზმელებისთვის
- კომპანიონი
- 22 პრობლემა, რომლის მოგვარებაც ჯერ კიდევ შეგვიძლია
- 23 ქართული ნაგაზი
- იარაღი
- 25 ვაში ჩამოყიდებული თვითმფრინავი
- სანადირო იარაღი
- 30 Boss&Co ზირველი თანასწორთა შორის
- დანაშაული და სასჯელი
- 34 მოდური ბოროტმოქმედები
- გზა აღიანისკენ
- 39 ჩრდილოატლანტიკური ალიანსი: დასაბამიდან დღემდე
- ფტოტი
- 41 NATO-ს მიმართულებით მოცურავ ქართული
- ფტოტის სინთულები
- საქართველოს ისტორია
- 43 ქართული ფტოტი 1920-1921 წლებში
- კროსკორტი
- 47 არსენალკორდი
- მეთხველის გვერდი
- 48 სახიფათო სათამაშო
- სუპერმობილი
- 50 მარჩენალი ლაიფგიდიდან Porsche Cayenne
- „არსენალის“ იარაღის მატარია
- 54 რუსული „რუტეკის“ მთავარი აგრიბეტი

# ჩვენი სპეციალური

რატიმ აქვს „არსენალის“ ფორ-კლებს ქართული არმიის დღევანდელი ცხოვრების აშასველი მასალები? ეს კითხვა ხშირად დაუსვამთ წერილებში ჩვენს მკითხველებს და სრულიად სამართლიანად.

ამზე პასუხს ჩვენს მკითხველ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი გვცემს, რომლის 2005 წლის მიმართვაში საქართველოსთან დაკავშირებით შავით თვითრე წერია, რომ სამხედრო ექსპერტი ირკლი ავლანდელი და რადიო „თავისუფლების“ უკრანალისტი კობა დიკელიძე (რომელიც „არსენალის“ თანამშრომლობს) თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელების მიერ მძინვლი არიან „პრობლემურ“ უკრანალისტებზე“ კრიტიკული სტატეების გამო და ამიტომაც არავლელი აქტი სამხედრო ნაწილებში შესვლა.

სამართლე გიხარიათ, ცვედაზე ნაკლებად გვიჩიდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ მიმართვაში ასეთ კონტექსტში ამბოუქნედილყავით, მაგრამ რას ვიხამი, ეს სამწუხაროდ სამართლეა. ძალზე დასანანი, როდესაც ქართული არმიის 15 წლის ისტორიის ყველა ფორცველი შტის თვალწინ (ბევრჯერ შწივე უშუალო მონაწილეობით) იქნებოდა და ერთ დღეს ქართული არმიის მტრად გაცხადებენ ის პირები, ვისი ჭკაზმეაც არ ყოვილა საქართველოს ტერიტორიული მთელანობისთვის ბრძოლებში...

ჩვენ ბევრი არაფერი გვიჩიდა, უბრალოდ აღარ გავძიებოთ ის საბედისწერო შეცდომები და არაპროფესიონალიზმის გამო აღარ ჩავხიციოთ ტყეილებრივად ქართული მიწის გზარი დამცველები.

როგორც ამბობენ, ჭკვიანი სხვის შეცდომებზე წვილობს, სულელი კ თავისზეც ვერაო...

**ირაკლი კლდარევილი**  
**მიორბი უორაშულიანი**

ყარადლება!

ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მეთხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჭუნალის ყიღვას პრესის ყიხურებში. ამიგომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი“ და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში. ტელ: 42-43-40

გახეთ „ვეირის პოტიტრის“ დამატება ©

რედაქციის მისამართია: თბილისი, ავერის ქუჩა №8. (სპორტის სასახლის უკან) ტელ/ფაქსი: 98-74-44 email: arsenal@kvirispalitra.com ქრნალით გამოდის თვეში ერთხელ

### "გლიძისფორი" ზამთხში...

„ბლეკისფორის“ ფარგლებში ბათუმის პორტში შავი ზღვის აუზის ქვეყნების ექვსი ხონაღლი შევიდა, რომლებიც ბათუმის პორტში ხუთ დღეს დარჩნენ. 18 აპრილს სამხედრო-საზღვაო ხონაღლებმა გეზი თურქეთისკენ აიღეს.

„ბლეკისფორის“ ამჯერად რომინეთი მასინიღობდა. შავი ზღვის აუზის ქვე-



ნების სამხედრო-საზღვაო ძალების ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას ხელი 2001 წლის 2 აპრილს სტამბოლში მოეწერა. მასში შავი ზღვის ექვსი ქვეყანა მონაწილეობს — რუმინეთი, ბულგარეთი, რუსეთი, საქართველო, უკრაინა და თურქეთი.

თანამშრომლობა ითვალისწინებს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას.

ასევე ნეიტრალურ წყლებში ტერორიზმისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ერთობლივი ოპერაციების ჩატარებას.

ამჯერად ნეიტრალურ წყლებში ერთობლივი წვრთნებიც გაიმართა.

### ამერიკაში კონგრესმენები კრწანისის სასწავლო ცენტრს ისტუმრნენ

საქართველოში სამუშაო ვიზიტად მყოფმა ამერიკის კონგრესის დელეგაციამ საქართველოს შეიარაღებული ძალების კრწანისის სასწავლო ცენტრი დაათვალიერა.

კონგრესმენები ჯიძ კობის ხელმძღვანელობით კრწანისის ცენტრში მღებარე ამერიკულ სამხედრო ბაზას ესტუმრნენ. დაათვალიერეს ასევე ცენტრის



ინფრასტრუქტურა — შტაბი, ყაზარმები, სასადილო, სამედიცინო ცენტრი და სხვა ობიექტები.

დელეგაციის წევრები გაეცნენ „სტაბილურობის ოპერაციების შენარჩუნების პროგრამის“ (SSOP) მიმდინარეობას, რომლის ფარგლებშიც ქართველი სამხედროები ერაყში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად ემზადებიან.

როგორც უზნაღისტებს ამერიკელმა კონგრესმენმა სკოტ გარტმა ვანუცხადა, ის კრწანისის სასწავლო ცენტრით კმაყოფილია. მისივე თქმით, შობამეჭღავთა ის შუღევი, რომელსაც ქვეყანამ საკმაოდ მოკლე ხანში მაღწია. მათ შორის, ვარტმა ხაზი გაუსვა ტერორიზმის სფეროში საქართველოს ხელისუფლების აქტიურ თანამშრომლობას უცხოელ კოლეგებთან.

### "ვისაძლმა საძარმველომ NATO-ს საპანდიფატო სტატუსი წაღს მითიკოვოს"

„საქართველომ მაღწია მნიშვნელოვან პროგრესს, რაც შესაძლოა უახლოეს მომავალში მისი NATO-ში ინტეგრაციის საფუძველი გახდეს“, — განაცხადა NATO-ს საინფორმაციო ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ მამუკა კუდავამ. მისი თქმით, ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში განსაზღვრული სტრატეგია იძლევა. NATO-ს ექსპერტთა წინასწარ დასკვნაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) მიხედვით მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმები გაატარა, ამიტომ არ არის გამორიცხ-

ული, საქართველომ NATO-ს საკანდიდატო სტატუსი უკვე წილს მოიპოვოს.

13 აპრილს ბრიუსელში, NATO-ს შტაბბინაში, 26+1 ფორმატით გაიმართა შეხვედრა, სადაც თავდაცვის, საგარეო საქმეთა და სახელმწიფო მინისტრების დამკვეთებულმა საქართველოს დელეგაციამ NATO-ს ხელმძღვანელებმა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები გააცნო.

### კომპრის სატალიონმა წვრთნები დაასრულა

კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის მსუბუქმა ქვეთმა ბატალიონმა სამშვიდობო ოპერაციების წინა მოსამზადებელი საწვრთნელი კურსი დაამთავრა. 330-მა სამხედრო მოსამსახურემ სასწავლო პროგრამა კრწანისის ერთწიფულ სასწავლო ცენტრში გაიარა.

ხუთი კვირის განმავლობაში ბატალიონის პირად მზადყოფილობას 26 ქართველი ინსტრუქტორი აშხაღებდა. სამხედროებმა ტერორისტთა აღმოჩენის შემთხვევაში მათი განიარაღება-დაკავება და დასახლებული პუნქტების პატრულირება შეისწავლეს.

კურსის დასრულებისაღმძი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია კრწანისის ერთწიფულ სასწავლო ცენტრში გაიმართა, სადაც ქართველ ჯარისკაცებს სპეციალური სერტიფიკატები გადაეცათ. ოფიციალურ ცერემონიას საქართველოში აკრედიტებული სამხედრო ატაშეებიც ესწრებოდნენ.

მასში ბატალიონი ერაყში ვაეჭზავრება, სადაც II ბრიგადის 23-ე ბატალიონს ჩაეწვლიდა. ქალაქ ბაუჯაში სამშვიდობო მისიას ბატალიონი შედიო თვის განმავლობაში შეასრულებს.



# რუსეთი კვლავ არწილთაი კავკასიაში არსებულ ზანღ-შორშირბეგს მიუბრუნდა...

„ჩრდილო კავკასიის რეგიონში მოქმედებს 5-7-კაციანი 105 ბანდაჯგუფება. ისინი მუდმივად გადაადგილებიან ერთი რეგიონიდან მეორეში“, - განაცხადა ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეჯის სხდომაზე ჩრდილოეთ კავკასიაში ჯარების მეთაურმა ოლეგ ხოტინმა, სადაც 2006 წლის პირველი კვარტალის შედეგები შეჯამდა, - „ბანდაჯგუფებების რაოდენობა საქართველოს, ინგუშეთისა და დაღესტნის ზოგიერთი რეგიონიდან ვითომ იძულებით გადმო-



სახლებულთა, ასევე ახალგაზრდობის გადაბირების ხარჯზე იზრდება“. ხოტინის თქმით, ბანდაჯგუფებები ასევე ვაერთიანებულნი არიან ახლო და შორეული საზღვარგარეთიდან დაქირავებული ბოევეები. „სამართალდაცევი ორგანოებისა და ფედერალური ძალების მიერ მიღებული ზომების წყალობით უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების მოქმედებმა ფართომასშტაბიანი წინააღმდეგობის ხასიათი დაკარგა და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები შეიძინა“, - აღნიშნა ხოტინმა.

ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ „ბოევეებისთვის დაფინანსებისა და შეიარაღების წყაროს მთლიანად გადაკეტვა არ მოხერხდა“. ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებში „არსებობს ტერორისტულ-ღივრისიული აქტების ალბათობა. ამის დასტურია სიტუაცია დაღესტანსა და ინგუშეთში“, - განაცხადა ოლეგ ხოტინმა.

\*\*\*

„რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო რუსული სამხედრო ნაწილების გასაყვანად მზად არის - პირველი სამხედრო შემადგენლობა საქართველოს 15 მაისს დატოვებს“, - განაცხადა რუსული საინფორმაციო სააგენტოებისთვის მიცემულ ინტერვიუში სამხრეთ კავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების შტაბის მეთაურის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ვლადიმერ ყუფარაძემ.




მისი თქმით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კომისიამ, რომელსაც რუსეთის სახმელეთო ძალების სარდლის მოადგილე სამშვიდობო ოპერაციებში ვალერი ენგვინი ხელმძღვანელობდა, ნაწილების მზადყოფნის შესახებ დასკვნა წარმოადგინა.

კომისიამ შეამოწმა რუსეთის 62-ე და მე-12 სამხედრო ბაზები, რომლებიც ახალქალაქსა და ბათუმში მდებარეობს. ყუფარაძემ ასევე დასძინა, რომ 62-ე ბაზიდან პირველი შემადგენლობის გაყვანა 2006 წლის 15 მაისს არის დაგეგმილი.

\*\*\*

ღილის მიმდებარე ტერიტორიაზე მესაზღვრეებისთვის ეუთოს ვეჯით დაწესებული სწავლების პრაქტიკული ნაწილი ჩატარდა. მებნა-გადარჩენის ოპერაციებში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეები და ეუთოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. პრაქტიკულ სწავლებაში სასაზღვრო უწყების ორი ეკიპაჟი და სწრაფი რეაგირების სამმართველოს 4 მესაზღვრე მონაწილეობდა. სასწავლო, სამძებრო და სამაშველო ოპერაციებში გამოიყენეს სხვადასხვა ტექნიკა, მათ შორის Ми-8 ტიპის შევულომფრენი.



სწავლებებს დაესწრნენ ეუთოს სასწავლო პროგრამების მენეჯერი ორიი მაკტორლი, ეუთოს მისიის სამთი მრჩეველი პიტერ კიტსბერგერი, ოპერაციების ხელმძღვანელი, სამძებრო და სამაშველო ოპერაციების ექსპერტი ზრიოე კამენჯარანი და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, სახმელეთო საზღვრის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი კობა ბოჭორიშვილი.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტისა და ეუთოს მისიის მერინაგებისთვის ტრენინგები 17 აპრილიდან დაიწყო. სწავლება ეუთოს მისიის ინიციატივით მესაზღვრეთა წრეთის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა. სწავლებების თემა იყო - სამძებრო და სამაშველო ოპერაციები, რაც თეორიულ და პრაქტიკულ კურსს მოიცავს.



მესაზღვრე მერინაგებისთვის წვრთნები ორ ეტაპად ჩატარდა: პირველი კურსი 22 აპრილს დასრულდა, მეორე - 24-29 აპრილს გაიმართა. სწავლებებს უშუალოდ ეუთოს მისიის ტრენინგ-ოფიცრები ატარებდნენ.

# F-22A RAPTORE-ები უნდა განაახლონ



მეხუთე თაობის ამერიკული გამანადგურებლები F-22A RAPTORE-ები, რომლებიც შეარაღებაში გასული წლის დამლკვს მიიღეს, საბოლოოდად არიან გაგზავნილი.

2006 წლის განმავლობაში სამხედრო-საპაირობაზა „პილზე“ შტატთუტაში, 18-დან 12 მანქანამოდიფიცირდება. მოდიფიკაციის ხასიათს და გამანადგურებლის თვისებებზე, რომლებიც შეიცვლება, არაფერია ცნობილი. თეთ-

მფრინავის სისტემებში რაიმე გაუმართაობის შესახებ ინფორმაციაც არ ვიცვდებოდა. შეგახსენებთ, რომ 2005 წლის დეკემბერში აშშ-ის სამხედრო-საპაირობა მეთაურებმა გამანადგურებლის კლასი შეცვალა, რომელიც აქამდე აღინიშნებოდა როგორც F/A-22. ასო „A“ პრეფიქსში აღნიშნავდა „ATTACK PLANE“-ს (შეტყვე). „A“-ით აღნიშნავენ აშშ-ის სამხედრო-საპაირობა მეთაურებთან, მაგალითად, A-7A ან A-10. „F“-ით აღნიშნავენ FIGHTAR-ს (გამანადგურებელს). როცა პრეფიქსში ორივე ასოა, ეს ნიშნავს, რომ თვითმფრინავი გამანადგურებელი-მოიქცევა.

F/A-22 თავდაპირველად გამანადგურებლად მუშავებდა. სამხედრო ობიექტებზე დარტყმის მიზნების შესაძლებლობებზე კონსტრუქტორები მოგვიანებით დაიჭიდნენ. 2002 წელს მას ეს შესაძლებლობა მიენიჭა, მასთან ერთად კი პრეფიქსი „A“.

აშშ-ის სამხედრო-საპაირობა მეთაურები ესკადრილია, რომელიც აღჭურვილია მეხუთე თაობის F-22A RAPTOR-ებით, მწყობრში ოფიციალურად ჩადა 2005 წლის 15 დეკემბერს.

# როსაბარონექსკორტი აზია-ოქეანის ბაზრისთვის აქტიურად იბრძვის

რუსეთი მალაიზიაში შეიარაღების გამოფენაზე DSA-2006 (Defence Services Asia) წარადგინა მცირე და საშუალო წყალწვეის წყალზედა ნიშუბის რუსეთის ექსპორტის სამხედრო-საზღვაო მონაკვეთში განსაკუთრებული ადვილი უჭირავს მცირე და საშუალო წყალწვეის წყალზედა გემებს. ამ ტიპის გემები დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

გამოფენაზე გატანილი სამხედრო-საზღვაო ტექნიკა მოიცავს ჩქაროსნულ საპატრულო კატერებს „მირაჟს“ და „მანგუსტს“, სარაკეტო კატერს „პოლინას“, საპაირობალოშიან გემებს „ჩილინსა“ და „მურენას“, დიზელელექტრონულ წყალქვეშა გემს „აბურ-950“-სა და „პირანისა“ ტიპის მცირე წყალქვეშა ნაგებს.

Мираж



# ინდოელ ჯარისკაცებს მტრის მოკვლისთვის ალარ დაჟილდოებენ



ინდოეთის თავდაცვის სამინისტრომ შეცვალა სამხედრო მოსამსახურეთა დაჯილდოების წესები, რათა აღიკვეთოს გამარჯვების შესახებ ყალბი ცნობების გავრცელების ფაქტები.

„ამიერიდან ჯარისკაცებს საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებთ“, — განაცხადა არმიის მეთაურმა გენერალმა სინგჰმა. მისი თქმით, შეიარაღებულ ძალებში მოაწნაო, რომ მოწინააღმდეგის დაზოცილი ჯარისკაცების რაოდენობა სამხედრო მოსამსახურეს დიდებასა და ედილდობას მოუტანს. ჩვენ უნდა აღვეკეთოთ „ყალბი გმობობის“ ეს მართონი“, — განაცხადა სინგჰმა.

დაჯილდოების სისტემის გადახედვის საბაბი შეიქნა სკანდალი, რომელიც 2004 წელს დაიწყო. მაშინ ინდოეთის სამხედრო სასამართლომ სამი წლით პატიმრობა მოუსაჯა მაიორს, რომელმაც 2003 წელს მეთაურობას მოახსენა ქაშ-მირში ორი შეტაკების შესახებ, რომელთა შედეგად პაკისტანმა დიდი დანაკლისი განიცადა. მაიორის ინფორმაცია ყალბი გამოვა. სასამართლომ დაადგინა, რომ ოფიცერმა ეს ედილდობის მიზნით მიზნით გააკეთა. მოგვიანებით საქმე სამოქალაქო სასამართლომ განიხილა და მაიორი გაამართლეს. როგორც მან თქვა, რაბორტების გაყავილება მეთაურმა აიძულა, რომელსაც სურდა, რომ მის ქვედანაყოფს ედილდობი მიედი.

# ამერიკელი ყირგიზეთის ბაზის საფასურის საკითხს განიხილავენ...

აშშ მზად არის, სასწრაფოდ დაამთავროს მოლაპარაკებები ყირგიზეთის მთავრობასთან აეროპორტ „მანასით“ სარგებლობის საიჯარო გადასახადის შესახებ. აქ განლაგებულია აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების პიტერ ჰანსის სახელობის ბაზა.

ჩვენ მზად ვართ, სასწრაფოდ დავასრულოთ მოლაპარაკებები ყირგიზეთის მთავრობასთან აეროპორტ „მანასით“ სარგებლობის თაობაზე“, – ნათქვამია აშშ-ის განცხადებაში. ამასთან, ამერიკელი მხარე აღნიშნავს, რომ რუსუბლიკის ტერიტორიაზე ოთხ წელზე მეტი ხნის ყოფნის პერიოდში, ავიაბაზაში „დიდი წვლილი შეიტანა ავღანეთში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“. „რეგიონში ტერორიზმის აღმოსაფხვრელად თანამშრომლობის გაგრძელება აშშ-ისა და ყირგიზეთის ინტერესებს განაპირობებს“.

როგორც ადრე ოუწყებოდნენ, ყირგიზეთის პრეზიდენტმა ყურმანბეკ ბაიეევმა აშშ-ს მოსთხოვა, 2006 წლის 1-ელ ივნისამდე გააღწევდნენ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის რუსუბლიკაში ყოფნის შესახებ ახალი შეთანხმების საკითხი. პრეზიდენტის თქმით, ოფიციალური ბიშკეკი, უფლებას იტოვებს, „გადახედოს 2001 წლის 4 დეკემბრის ორმხრივი შეთანხმების შეწყვეტის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ რაიმე გარემოებები აშშ-ს საშუალებას არ მისცემს, 2006 წლის 1-ელ ივნისამდე დაამთავროს მოლაპარაკების პროცესი“.



ამჟამად პიტერ ჰანსის სახელობის ავიაბაზაში, რომელიც ბიშკეკიდან ათეულჯამით კილომეტრზეა გადაჭიმული, განლაგებულია არაან აშშ-ის დაახლოებით 900 სამხედრო მოსამსახურე და სამხედრო-სატრანსპორტი თვითმფრინავები. ზოგიერთი მონაცემით, პენტაგონი ყირგიზეთის საიჯარო თანხის სახით წელიწადში 40 მლნ დოლარს უხდის. ყირგიზეთმა უკვე განაცხადა, რომ განზრახული აქვს საიჯარო თანხა 200 მლნ დოლარამდე გაზარდოს.

## ირანი აზერბაიჯანთან ითანამშრომლებს

„ირანი მზად არის ითანამშრომლოს აზერბაიჯანთან სამხედრო-სამხრეველო კომპლექსის განსავითარებლად“, – განაცხადა ბაქოში ირანის თავდაცვის მინისტრმა მუსტაფა მუჰამედ ნეჯარამმა.

მისი თქმით, ორ ქვეყანას შორის „წარმატებით ვრძელდება მოლაპარაკებები სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობაზე, განსაკუთრებით სამხედრო თანამშრომლობის სფეროში. „ამ საკითხებს ჩვენ აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრთან ვანიხილავთ“, – განაცხადა მუჰამედ ნეჯარამმა. ამავდროულად, მან უარყო ინფორმაცია სამხედრო სფეროში ირანის სომხეთთან თანამშრომლობის განზრახვის თაობაზე: „ყველა ეს ნააზრევი ძირშივე მცდარია“, – განაცხადა მინისტრმა.

თავის მხრივ, აზერბაიჯანში ირანის ელჩმა აფშარ სულეიმანმა ურნაღისტებს აუწყა, რომ აზერბაიჯანი და ირანი „თანამშრომლობის გასაფართოებლად ახალ-ახალ გზებს ეძებენ, მათ შორის თავდაცვის სფეროში“.

## რუსეთი ირანის საჰაერო სივრცეს დაიცავს



„რუსეთი კვლავაც აპირებს ირანის ჰაერსაწინააღმდეგეო თავდაცვისთვის საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „TOP-M1“-ების მიწოდებას, – განაცხადა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ნიკოლაი პასკიმ, – სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის მომავალში შეფერხების ერთადერთ მიზეზად შეიძლება იქცეს მხოლოდ გავრცელებული უშიშროების საბჭოს სანქციები“. – ხაზი გაუსვა პასკიმ. გავრცელებული უშიშროების საბჭოს სანქციებზე შეჯღაბისას, პასკიმ აღნიშნა, რომ იმ საკითხი ამჟამად რუსეთისთვის არ არსებობს. მისი აზრით, ირანის ბირთვული არბოლებების მშველდობიანად მოგვარების შანსი კვლავინდებურად არის.

ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღების მთავარი მომხრე ვაშინგტონია. თუმცა ამერიკის დაზვერვის ხელმძღვანელმა ჯონ ნეგროპონტემ განაცხადა, რომ ირანს მინიმუმ კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება, რათა ბირთვული იარაღის საწარმოებელი მასალა შეაგროვოს. მისი თქმით, ეს არა უადრეს შემდეგ თოწლეულში მოხდება. ამასთან, ნეგროპონტემ შემოიფარგლა გამოიქცა, ბირთვულ ცენტრ ნატანც-ში ურანის გამდიდრების გაგრძელებითა და ასევე ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადის მწვავე განცხადებების გამო.

# 15 წელიწადი ქართული არმიის ასაშენებლად

რატომ ანგრევდა ერთი მინისტრის აშენებულს მეორე, მეორისას მესამე და ა.შ.

30 აპრილი ქართული არმიის დაარსების დღედ არის აღიარებული. 15 წლის განმავლობაში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ყველაფერი გამოსცადეს – პირველი ფიცის სიხარულიც, საერთო-სახალხო სიფერულიც, ომში დაღატაც, მაროდორობაც, საზოგადოებაში სამხედროფორმიანი კაცის შიშიც, დეზერტირობაც, „დედოფშინაც“, კუთხურობაც, მწირი ბოუჯეტიც და ფანტასტიკურად გაზრდილი დაფინანსებაც, არნახული პაირიც და სამხედროების არაპროფესიონალიზმიც...

ამ ჩამონათვის გაგრძელება კიდევ შეიძლება, თუმცა ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ განვლილი 15 წლის განმავლობაში ჩვენ ქართულ არმიას კვლავ ვაშენებთ...

ნურავის ეგონება, რომ 15 წელიწადი კარგად აღჭურვილი, შეიარაღებული, გაწვრთნილი და ბრძოლისუნარიანი არმიის შესაქმნელად საკმარისია. ზოგიერთი სახელმწიფო საუკუნეების განმავლობაში ქმნიდა ასეთ არმიას, მაგრამ ქართული



არმიის შემთხვევაში სულ სხვა რამ არის გასაცარი – საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარება ამ 15 წლის განმავლობაში ერთი მიმართულებით კი არ მივიდა, ყოველთვის თავიდან იწყებოდა. თავიდან იწყებოდა, როგორც კი თავდაცვის მინისტრი შეიცვლებოდა და შესაბამისად, ახლებოდა თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის მთელი მმართველი სტრუქტურა, იცვლებოდნენ ვარების სახეობებისა და ვეაროების სარდლებიც, ბრიგადების მეთაურები, შტაბები და ა. შ., თითქმის დამლაგებლამდე...

რას ნიშნავდა ყოველივე ეს? უპირველესად იმას, რომ წყალში იჯებოდა დღეაღმდეგობა. ერთი თავდაცვის მინისტრი და მისი გუნდი ძალ-ღონეს არ იმურობდნენ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით თავიანთი საქმიანობისთვის ბრწყინვალე პიარი გაეკეთებინათ. ამ გუნდის შემცველი ახალი მინისტრი და მისი გარემოცვა კი ყველაფერს აკეთებდა

ბელების „გასამაგებლად“ და თავის იმაზე გაორკეცებულად ზრუნავდა...

სამწუხაროდ, ეს პროცესი ერთთავად ონ სლევს ჩვენს არმიას და ისეთი პირი უნდა, არც შემდგომში შეიცვლება რამე.

2004 წელს ახალმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ თავიდან იწყებს არმიის შექმნას. რამდენად მართალი იყო ხელისუფლება?

ბოლო ორი წლის განმავლობაში პირველი დადებითი ძეგა არმიის უზარმაზარი, 10-ჯერ მეტად გაზრდილი დაფინანსება. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ პრეზიდენტსა და მის გუნდს, წესით, მარტლავ უნდა სურდეთ ქართული არმიის გაძლიერება, თუ გვიგისნებთ იმსაც, რომ პირ კიდე 4-5 წლის წინ არმია შირი ბიუჯეტის გამო თითქმის სულს დაფავდა.

საზოგადოებაში ამაღლდა არმიის ავტორიტეტი. „კარდების რეფორმაციის“ განსაკუთრებით პირველ წლებში ახალგაზრდები თავად ცდილობდნენ არმიის რიგებში მოხვედრას, რაც შევარდნაძის ხელისუფლების დროს თითქმის წარმოუდგენელი რამ იყო.

„კარდების რეფორმაციდან“ მალე თითქმის სამი წელიწადი გავა და ის აღტყნებაც, რაც ქართულ არმიამ იყო, ნელ-ნელა განეცვლა. განეცვლა იმიტომ, რომ სამხედრო ნაწილების ყაზარხანში კლავ მებრძოარებს „დელომწინა“, კუთხურება, ერთი ჯარისკაცის მეთრისავან დაწავდრა...

ხელისუფლება ხშირად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ როგორი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა არმია. სამწუხაროდ, ეს მთლად სიმაძრთლეს არ შეესაბამება, რადგან ბოლო სამი წლის განმავლობაში საზღვარგარეთ შექმნილი საბრძოლო ტექნიკიდან ყველაზე „ახალგაზრდა“ 20 წელზე მეტი ხნისაა, თუნდაც იმავე ჩეხეთში ნაყიდი „შომეკლი“ ტანკები, ან სულაც უკვე ყადაღებული უკრაინული ქვეითთა საბრძოლო მანქანები.

გასაკებია, რომ უფრო თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით ქართული არმიის აღჭურვა ძერი სიამოვნება, მაგრამ მზდი, სურც საზოგადოებას შეეცყანთ შეცლო-მაში.

სამხედრო ბიუჯეტის თითქმის 400 მლნ ლარამდე გაზრდამ ახალი და დიდი პრობლემაც გამოაჩინა. ქართულ არმიას ყოველთვის პარავდნენ – დაწყებული საწყობის ზემდეგეით და დამთავრებული თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი ემლონებით, მაგრამ ბიუჯეტის გაზრდამ ავტომატურად გაზარდა დატაცების

მასშტაბები და ათასნარიი მატენაციით მითვისებული თანხების რაოდენობაც.

უკვე არ იწყვეს ის, რომ ადრე თუ გვიან, თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბში ვატარებული საკადრო ცვლილების შემდეგ გამოჩვენდება (ხელისუფლების უმაღლესი ემლონების სურვილის შემთხვევაში) მსხვილი კორუფციის ფაქტები, რაც საზოგადოებას მოკში ჩავადებს. ეს განსაკუთრებით ენება საზღვარგარეთ შექმნილ საბრძოლო ტექნიკის, აღჭურვილობის და ტყვია-წამლის ფასებსა და ხარისხს. ასევე სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნისა და რემონტს.

ეტყობა, მხოლოდ მერე ჩაუვლება გულდასმით კონტროლის პალატა თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბის საფინანსო ანგარიშებს, ხოლო შსს-ს სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველოს, ბოლოს და ბოლოს, შეუშვებენ სამხედრო ნაწილებში. დღეს მათ ეს აკრძალული აქვთ თავდაცვის მინისტრის ბრანებით.

მანამდე კი ექნება 26 მათი, რომლებზეც ხელისუფლება კიდე ერთხელ ეცდება სამხედრო აღლუმზე ქართული არმიის ძლიერება აჩვენოს, მოყვარეს გული გაუზაროს, მტერს კი თვალბი დაუცოს, მაგრამ ვაგლახ, რომ არმიის სიძლიერე სამხედრო აღლუმებით არ განისაზღვრება, იგი ბრძოლაში ვლინდება. როდესაც არმიიდან ბრძოლაგამოვლილ და პრიფე-

სიონალ სამხედროებს მასობრივად ყრი, ვინ უნდა აღზარდოს სამხედროების ახალი თაობა? უკვე ნანახის საფუძველზე მათაც კარგად ეცოდინებათ, რომ ახალი თავდაცვის მინისტრის გუნდი თავის კადრებზე შეაჩერებს არჩევანს და მათ, რაც უნდა კარგი ოფიცრები უნდა იყვნენ, კარისკვლ მათუთიებს.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მთელი 15 წლის განმავლობაში ქართულ არმიამ ვერა და ვერ ჩამოკალიბდა ოფიცრთა კასტა. ის კასტა, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის არმიის საფუძველია. ერთმანეთზე გადაკიდებული ოფიცრები, რომლებიც არცთუ იშვიათად ერთმანეთს დასმენასაც არ თაკილობენ, ვერ გახდებიან ოფიცრის ღირსების ეტალიონი.

როდენ სამწუხაროც უნდა იყოს, მიუხედავად ვარგუნული ბრწყინვალეებისა, 15 წლის ქართულ არმიამ ბევრი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემა ვადაუჭრელი რჩება და სახიფათო იქნება, თუკი ეს ბრძოლის ხაზზე გამოვლინდა.

მუხზდავად ვველაფრისა, ვვეჯრა, რომ ქართული არმია მანინც გახდება ბრძოლისუნარიანი და ევექტაინი, ისეთი, რომელიც თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებს NATO-ს რიგებში. ამისთვის კი სულ მცირე რამ არის საჭირო – შეექმნათ რეალური და არა პაიარამია.

ირაპლი ალადაშვილი

იმედო ვილავებთ, რომ ქართული არმია სხვის შეიდომებასაც და საკუთარსაც აუცილებლად ათათფაღისწინებს და მომავალში მსგავსი საბატების წერის საბაბი უკვე აღარავის ექნება... ამ გზამ NATO-ში უნდა მიგვიყვანოს...



„არსენალის“ ერთ-ერთ ნომერში წავიკითხე მასალა მალტაზე წარმოებულ სპეცოპერაციაზე, სადაც ნახსენები იყო თვითმფრინავის მიერ ბგერითი ბარიერის გადალახვისას წარმოშობილი ხმა. საინტერესოა რა თვითმფრინავებს შეუძლია ზებგერითი სიჩქარით ფრენა და რამდენად სახიფათოა ეს ადამიანების ჯანმრთელობისთვის?

მამია ჭურავილი

ამერიკული F-14 Tomket-ი ზებგერითი სიჩქარით მიფრინავს ზღვის ზედაპირთან

# ზებგერითი სიჩქარე

ამას წინათ მრავალმილიონანი მოსკოვი გამაყრუებელმა ხმამ შეაზანზარა. შეშინებულმა მოსკოველებმა მაშინვე მორიგ ტერაქტზე მიიტანეს ეკვი. რუსე-



რეაქტიული თვითმფრინავი ბგერის სიჩქარეს აჭარბებდა.

ატმოსფეროში ბგერის გავრცელების სიჩქარე სხვადასხვაა და დამოკიდებულია სიმაღლეზე, ტემპერატურაზე, ატმოსფერულ წნევაზე და ა.შ.

მიღებულია, რომ კარგ ამინდში ბგერის გავრცელების სიჩქარე დაახლოებით 1180 კმ/სთ-ს უტოლდება. ამ სიჩქარის მიღწევისას თვითმფრინავის კონსტრუქციას უწყვეს როგორც სიბიური, ისე ბგერითი ბარიერების გადალახვა. სწრაფად ფრენისას საფრენი აპარატის კონსტრუქცია მნიშვნელოვნად ცხვლდება და მისი ტემპერატურა 300-500 გრადუსს აღწევს. ამ დროს კონსტრუქციაში გამოყენებული მასალების სიმტკიცე იკლებს (მაგალითად, დურალუმინის დუღილს იწყებს საავიაციო ნაეთი, ხოლო



ასე გამოიყურება ბგერის სიჩქარის გადალახვა

თის ხელისუფლება იძულებული გახდა, აეხსნა მოსახლეობისთვის მძლავრი აფეთქების ხმის წარმოშობის მიზეზი — მოსკოვის ახლოს აფრენილმა გამანადგურებელმა МиГ-25-მა ბგერის სიჩქარე დედაქალაქის ახლოს შედარებით დაბალ სიმაღლეზე გადალახა და ამ დროს წარმოქმნილი ხმა მოსკოველებმა აფეთქებლად აღიქვეს.

საბჭოთა პერიოდში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე შვიდი სამხედრო აეროდრომი ფუნქციონირებდა, სადაც 300-ზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავი იყო განთავსებული, მოსახლეობა ხშირად გამხდარა იმის მომსწრე, რომ უღრუბლო ცის მოუხედავად, მეზის გავარდნის ხმა გაისმოდა. სინამდვილეში, ეს ხმა მაშინ წარმოიქმნებოდა, როდესაც



ზებგერითი „კონოკორდი“ აფრენის დროს

ორგანული მინა რბილდება და ა.შ. ამიტომაც ცდლობენ ზებგერითი თვითმფრინავებს ისეთი აეროდინამიკური ფორმა მისცენ, რომ პაერთან ხახუნის კოეფიციენტი შემცირდეს. ამას კი ისრისებრი ფრთებითა და წაწვეტილებული ფორმებით აღწევენ.

არანაკლები პრობლემა ბგერითი ბარეირის გადალახვა, რომლის დროსაც ბგერითი დარტყმა წარმოიქმნება. იგი ადამიანისთვის სასარგებლო ნამდვილად არ არის, იწვევს წნევის მატებას, ცუდად მოქმედებს მძლოლებზე, ცხოველებზე, ამსრევს ფანჯრებს და შეიძლება შენიშნას კი დაანეროს. ოღონდ ეს საშიშროება მაშინ არის მოსალოდნელი, თუკი რეაქტიული თვითმფრინავი ზებგერითი სიჩქარეს მიწის ახლოს, 50-100მ სიმაღლეზე განავითარებს. 9-10 კმ-ის სიმაღლეზე ბგერის სიჩქარის გადალახვისას წარმოიქმნილი ბგერითი დარტყმა საშიში აღარ არის. სწორედ ამიტომაც იყო, რომ სამკობაო კავშირში იკრძალებოდა 10 კმ-ზე დაბლა ზებგერითი სიჩქარის განვითარება, თუმცა სამხედრო პილოტები ამ წესს ზოგჯერ არღვევენ.

აღინათში ზებგერითი სიჩქარე გამოიყენებოდა რაოტოც ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი. Су-17 ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენებისა და მიГ-21 ტიპის გამანადგურებლების პილოტები ხშირად ძალზე დაბალ სიმაღლეზე ზებგერითი სიჩქარით გადაუფრენდნენ ადგილი მოჯახლების აქლემების ქარავანს, რის შემდეგაც აქლემებთან ერთად ადამიანებაც ყრუდებოდნენ, სოფლებში კი სახლები ინგვიდა.

ოფიციალურად მიჩნეულია, რომ ზებგერითი სიჩქარე პირველად 1947 წლის 14 ნოემბერს ამერიკელმა სამხედრო პილოტმა ჩარლზ ეკერმა ექსპერიმენტული რაკეტული მრავანი თვითმფრინავით, X-1-ით გადალახა. თუმცა ამ სიჩქარისთვის მანამდე სხვა მფრინავებსაც მიუღწევიათ, ოღონდ ეკერისგან განსხვავებით არა პორ-იზონტალური ფრენის, არამედ პიკირების დროს (ზოგიერთი პილოტი კიდევაც შეეწირა ამას, რადგან პიკირებისას თვითმფრინავებმა ვერ გაუძლეს გადატვირთვას და პაერში დაიშალნენ).

ზებგერითი სიჩქარე მახის რიცხვებით განისაზღვრება. M=1 შეესაბამება დაახლოებით 1180 კმ/ს-ს, M>2 ნიშნავს 2000 კმ/ს-ზე მეტს, M>3 შესაბამისად, 3000-ზე მეტს და ა.შ.

ამჟამად ყველაზე სწრაფ ზებგერითი თვითმფრინავად აღიარებულია ამერიკული ექსპერიმენტული რაკეტოპლანი X-15A, რომელმაც 1967 წლის 3 ოქტომბერს M=6,72 დაახლოებით 7000 კმ/ს-ზე სიჩქარე განავითარა. ოღონდ უნდა აღინშნოს, რომ X-1-იც და X-15-იც პაერ-

**თბილისის საავიაციო ქარხანაში 2000-ზე მეტი ზებგერითი МиГ-21УБ-ია გამოშვებული**




ში 10 კმ-ზე ბომბდამშენებზე ჩამოკიდებული „ადიონენ“, ეხსენებოდნენ მათ და მხოლოდ შემდეგ ავითარებდნენ დიდ სიჩქარეს.

ჩვეულებრივი სერიული ზებგერითი თვითმფრინავები კი მაქსიმალურ 2500-3000 კმ/ს-ით სიჩქარეს თუ ავითარებენ და ისიც მხოლოდ რამდენიმე წუთით, მეტზე საწვავის მარაგი არ ჰყოფნით. სხვათა შორის, ნამდვილ ზებგერით თვითმფრინავად მხოლოდ ის მიიჩნევა, რომლის კრე-ისერული სიჩქარე M>1-ია. ასეთებია ამერიკული SR-71, F-14, F-15, რუსული მიГ-25, Су-27, ასევე სამგზავრო „კონკორდი“ და Ty-144.

**ზებგერითი სამგზავრო Ty-144**



**ირაკლი ალადაშვილი**



**რეკორდსმენი X-15A-ს სტარტი ბომბდამშენის ფრთის ქვეშოდან**

# დესპირის დესპირის

## უოროსონ

ამაგი, რომელსაც ქვემოთ გაცნობთ, „ცივი ომის“ დროს მოხდა, როცა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაპირისპირებები ზღვესა და ოკეანეებში ხშირად სახიფათო ზღვარს უახლოვდებოდა.

საქმე ეხება შვე ზღვაში საბჭოთა კავშირის ტერიტორიული წყლებიდან, კერძოდ, იალტასა და ფოროსს შორის მდებარე რაიონიდან ამერიკელთა სამხედრო ხომალდების გატყუებას. ოპერაციის უნიკალურობა კი იმაში მდომარეობდა, რომ პირველად პრაქტიკაში გამოყენებულ იქნა ასალი მეთოდი ე. წ. „მიწოლა“ – საზღვაო-სამხედრო ლექსიკონში არსებობს ასეთი ცნება. იგი შეჯახებისაგან იმით განიარჩევა, რომ მიწოლის დროს ხომალდები მნიშვნელოვნად არ ზიანდებიან, ხოლო მშვიდობიანობისას მიწოლას მოძრაობის გათვლის დროს დაშვებული შეცდომები იწვევს. „მიწოლა“ ტარანი არ არის. ამ ხერხს ოსტატუნად იყენებდნენ ძველი დროის მებრძოლები, როცა მოიერიშე ხომალდი მტრის ხომალდს გვერდზე ამოუღებოდა და საპირდაპირ გაშვებულ ვაკუუმს ხელჩართული ბრძოლისთვის გადასხამდა მოწინააღმდეგის გემზე.

შემთხვევის ისტორია ასეთია: საბჭოთა და ამერიკელი სპეციალისტები სხვადასხვა აზრისანი იყვნენ 12-მილიანი ზონის ათვისის საკითხზე (ამ მხრე დღესაც არაფერი შეცვლილა). ამერიკელები ამტკიცებდნენ, რომ ათვლა სანაპირო ზოლის თითოეული წერტილიდან უნდა წარმოებდეს, ე. ი. თორმეტმილიანი ზონა ხმელეთის მოხაზულობას უნდა იმერებდეს. საბჭოთა სპეციალისტები კი ირწმუნებოდნენ, ათვლა საბაზისო ზაზიდან უნდა დაიწყო. გაუგებრობა უბეჭითან დაკავშირებით წარმოიშვა. ზღვის უბე, მოგუხსნებათ, ხმელეთში ზოგჯერ საკმაო მანძილზეა შეჭრილი და თუკი ამერიკელების ათვისის სისტემით ვიხელმძღვანელებთ, 12-მილიანი ზონა შეიძლება ნაპირთან სულ ახლოს აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში საბჭოთა სპეციალისტები ათვლის წერტილად იყენებდნენ უბეში შემავალ კონცხებს შორის შემავარდნულ სწორ ხაზს. ამერიკელებს ასეთი გათვლება ზღის არ ადევდათ, რასაც

საქმით ადასტურებდნენ არა მარტო შვე ზღვაზე, არამედ მთრეულ ადმოსფეროზე – სამხედრო ხომალდებს მსგავს ზონებში რადიოტექნიკური და ზვერვების ჩასატარებლად აგზავნიდნენ. ამასთან, ხომალდები რეაგირებას არ ახდენდნენ საბჭოთა შესაზღვრების გამაფრთხილებელ სიგნალებზე და თავისუფლად შვიდიდნენ იმ ზონებში, რომლებიც საბჭოთა კავშირს საკუთრებად მიანდა.

ცხადია, ათვლის სისტემაზე რადიკალურად განსხვავებული აზრის არსებობა ისეთ სიტუაციაში ქმნიდა, რომელიც ორივე ქვეყნის სამხედრო გემების გაძლიერებულ სამხედრო მზადყოფნის მოითხოვდა. ყოველთვის, როცა კი ოკეანისგაღმეული სტუმრები საბჭოთა სანაპიროზე გამოჩნდებოდნენ, მათ შორიახლო საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდები, საზღვაო ავიაცია და შესაზღვრეთა რადიოლოკაციური საღვურები იკავებდნენ ადგილს და ყოველ წუთს მზად იყვნენ ბრძოლაში ჩასაბმელად.


საბჭოთა კავშირის სამხედრო საზღვაო ფლოტის მაშინდელი მეთაურის, ფლოტის ადმირალ ჩერნიშოვის აზრით, ყველაზე გამოწვევად პენტაგონის აქცია შვე ზღვაში 1988 წლის 13 მარტს ჩატკადა. მაშინ სარაკეტო კრესიერმა Yorktown-მა და საესკადრო კრესიერმა Caron-მა გადაკვეთს საბჭოთა ტერიტორიული წყლები ყირიმის სამხრეთ სანაპიროსთან და 6 მილის სიღრმეში შევიდნენ. ამასთან, ადრინდელიგან განსხვავებით, ხომალდებზე მთელი სიმძლავრით მუშაობდნენ რადიოლოკაციური საღვურები და სხვა რადიოელექტრონული მიწყობილობები. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქვეყნის ტერიტორია რამდენიმე ათეული კილომეტრის რადიუსით იზვერებოდა და ისმინებოდა მოწინააღმდეგის ელექტრონული „თვალი“ და „ყური“. ეს კი სასურებით არღვევდა საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებს, რომელთა თანახმად, ასეთი რაიონები სამხედრო ხომალდებმა გამოთრული რადიოლოკაციური საშუალებებით უნდა გაიარონ.

USS YORKTOWN



USS CARON





CKP-6 Caron-ის მარცხენა ბორტთან და „პეზავეტნი“ Yorktown-ზე შეტვის დროს

უცხო გემების ყოველი ასეთი მახლობლა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს და ეთერით კავშირგაბმულობის შეზღუდვას აიძულებდა. განსაკუთრებით ყირიმში, სადაც იმ დროისთვის საგანგებოდ ავტომატურად ავიანაზაში, სავემბანო ავიაციის რეაქტიული ნიკოლაევის გემთშემწებელ ქარხანაში მშენებარე ავიამზიდ „ნიკოლაი კონსტოვოვ“ უნდა განთავსებულიყვნენ. ფლორის რაიონში საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალური მდივნის მხარულ გორბაჩოვის ავარაკის მშენებლობა მიმდინარეობდა. შესაძლოა, ამერიკელებს სწორედ ამ რაიონში სამხედრო გემების გაგზავნის სხვა მიზეზებიც ჰქონდათ, რომელიც ჩვენთვის უცნობია.

ადმირალი ჩერნიაევი ვარაუდლებით აკვირდებოდა „ხევეზე“ გაერთიანებულ მოედნებს და ერთხელაც გადაწყვიტა, საკადრის პასუხი გაეცა დაუპატიჟებელი სტუმრებისათვის – კრძალვად გამოეცხებინა არატრადიციული და არამაღალისმიერი მეთოდი, რომელიც მოულოდნელი იქნებოდა მოწინააღმდეგისათვის. ადმირალი სწორედ იმ „მიწოდებას“ გულისხმობდა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, მაგრამ ამ დღის ხორცშესახსნელად მას, როგორც სასმელს, უშუალო უფროსის, საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის, მარშალ სოკოლოვის დასტური სჭირდებოდა. ამ უკანასკნელს კი, რადგან საქმე ამერიკის შენებოდა, აუცილებლად უნდა ჰქონოდა პოლიტიბიუროს ან ცკევის თავდაცვის საბჭოს თანხმობა. 1986 წლის მაისში

ადმირალი ჩერნიაევი კრემლში გამოიძახეს. თათბირს, რომელსაც გორბაჩოვი მეთაურობდა, ესწრებოდნენ: სუკ-ის თავმჯდომარე ჩებრიკოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი შევარდნაძე, პრემიერ-მინისტრი რიჟკოვი, თავდაცვის მინისტრი, გენერალური შტაბისა და ყველა სახის ჯარების მეთაურები (კოლექტიური ვადაწყვეტილებების მიღება ხელს აძლევდა საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, რადგან წარმატების შემთხვევაში, დაფინანსების გეგმების მეთაური იმოსებოდა, წარუმატებლობისას კი პასუხისმგებელი ინსტანციებისა და კოლექტივების წევრთა სიმრავლეში იკარგებოდა. ბოლოს გამონახვად ვინმე „მეისრეს“ და მას გადაატყებდნენ ვოხს.

ჩერნიაევიმ თავის მოხსენებაში დეტალურად განიხილა თავისი ვეგა, რომელიც „მცირე პოლიტიბიუროს“ წევრთაგან ყველას არ მოეწონა. დისკუსიას წვრტილი გორბაჩოვმა დაუსვა. მან თქვა, რომ იდეა ძალიან მოეწონა და ადმირალს სთხოვა, შეერჩიათ მაგაროპორქუსიანი გემები, აგრეთვე წინასწარვე მდელი ზომები, რომ ოპერაციისას არც ერთი მხარის მეზღვაური არ დაღუპულიყო და არ დაშავებულიყო.

და აი, დადგა 1988 წლის თებერვალი. გაირკვა, რომ „ძველი ნაცინობი“ – სარაკეტო კრეისერი Yorktown-ი და საესკადრო კრეისერი Caron-ი, რომლებიც აშშ-ის მე-9 ფლოტში ხმელთაშუა ზღვაში იდგნენ, შავ ზღვაში შემოსვლას აპირებდნენ. ამერიკელმა გემებმა გაიარეს თურქული სრუტეები და 12 თებერვალს

ღია ზღვაში შევიდნენ თუ არა, მაშინვე საბჭოთა სამხედრო ზომადლების მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდნენ. იმავე დღეს ადმირალმა ჩერნიაევიმ, შავი ზღვის სამხედრო ფლოტის მეთაურს, ადმირალ ხრონოპოლოს უბრძანა, შემუშავებული დირექტივების მიხედვით ემოქმედა. ოპერაციაში მონაწილეობდა ორი საპატრულო ხომალდი: „პეზავეტნი“ და CKP-6. მათ გარდა ამერიკულ ხომალდებს მიჰყვებოდნენ სასაზღვრო CKP „იზმაილი“ და სადაზვერუო ხომალდი „იამალი“. თითოეულ მათგანს თავისი ამოცანის გადაწყვეტა ევალებოდა. საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამეთაურო პუნქტის მონაცემებით, მოედნები შავ ზღვაში, იალტასა და ფიორის შორის, შემდგენარად ვითარდებოდა:

09.45 წუთისთვის, ფლორის უბეში შესულამდე ნახვარი საათით ადრე, „პეზავეტნიმ“ ღია ეთერით გადასცა Yorktown-ს: „თქვენი კურსი სსრკ-ის ტერიტორიული წყლების გადაკვეთამდე მიეყვანთ, ვთავაზობთ, აირჩიოთ კურსი 110“. ამერიკელებმა სიგნალს არ უპასუხეს.

მაშინ შავი ზღვის ფლოტის შტაბის უფროსმა უბრძანა „პეზავეტნის“ კაპიტანს, ამერიკელების კრეისერზე რაიონით გადაეცა, რომ „საბჭოთა კანონების თანახმად, უცხოეთის სამხედრო გემების მშვიდობიანი გავლის უფლება ამ რაიონში აკრძალულია. ინციდენტის თავიდან ასაკლებლად ვთხოვთ შეცვალოთ კურსი და არ დააღრუბლოთ სსრკ-ის ტერიტორიული წყლები“.

19.15 წუთით Yorktown-იდან პასუხ-

ად გაისმა: „თქვენი რადიოშუქვებისგანა მივიღე, მე არაფერს ვარღვევ. ემოქმედებ საერთაშორისო კანონების თანახმად. ამ დროს საქმეში უკვე შავი ზღვის ფლოტის უფროსი ხრონიპული ჩაერთა. მისი ბრძანების შემდეგ „ბეზზავეტის“ კაპიტანი ამერიკულ კრესერს გადასცა: „სახელმწიფო საზღვარამდე დარჩენილია 20 კაბელტი. საზღვის დარღვევის შემთხვევაში, უფლებას ვიტოვებ, გაგაძვირო მიწოლის მეთოდით“. ამავე დროს ხრონიპული „იამალის“ კაპიტანს სახიფათო მანვერის შესასრულებლად მზადყოფნის ბრძანება გადასცა. ამ ზომადს ვინაღმჭრელის სიმაგრეები და სქელი კორპუსი ჰქონდა და მიწოლისათვისც იდეალური იქნებოდა, მაგრამ საათის 15 კვამის ძლიერ აეთიარება მაშინ, როცა ამერიკულ ზომადებს სრული სელის დროს 30 კვამის განეთიარება შეეძლოთ. ამიტომ „იამალი“ უკვე მიპყვებოდა დანარჩენ საბჭოთა გემებს (საინტერესოა, რატომ ვერ გათვალეს ეს პრობლემა საბჭოთა ამდირალებმა). ასეთ შემთხვევაში მხოლოდ სწრაფმგავალი CKP-ების იმედი უნდა ჰქონილიათ.

10.45 წუთი. Yorktown-ი კვლავ სტანდარტული ფრაზით პასუხობს „ბეზზავეტის“: „კურსის შეცვლას არ ვაპირებ. არაფერს ვარღვევ. ვსარგებლობ „მშვიდობიანი გავლის უფლებით“ და სსრკ-ის ტერიტორიული წყლების საზღვარს ვკვეთ“. ასევე იქცევა მის კვლამ მდგომარეობაში საეისკადრო კრესიერი Caron-ის. სასაზღვრო ზომადი „იზმაილი“ გადასცემს სიგნალს: „თქვენი დარღვიეთ სახელმწიფო საზღვარი. დაუყოვნებლივ დატოვეთ სსრკ-ის ტერიტორიული წყლები“. ამ დროისათვის „ბეზზავეტის“ კრესიერის მარცხენა ბორტის ახლოს იყო, CKP-6 კი უკვე მიპყვებოდა საეისკადრო Caron-ს. ამერიკული გემები კი სვლას ყირიმის სანაპიროსკენ აგრძელებდნენ. შესაძლებელი იყო, რომ კრესი სასაზღვრო ინციდენტზე საერთაშორისო კონფლიქტ-

ში გადაზრდილიყო. ორი ზესახელმწიფოს საშხვრო გემები ერთმანეთთან სახიფათოდ ახლოს მანვერირებდნენ და ფოტოდ ცდილობდნენ საკუთარი სიმაღლის დამტკიცებას.

10 საათსა და 56 წუთზე საეისკადრო კრესიერმა Caron-მა შენიშნა CKP-6-ის მანვერი – ის სრული სვლით მიემართებოდა Caron-სკენ. ამიტომ სასწრაფო სიგნალი გადასცა: „ბორტის ამ მთუახლოვდები“, ამ დროს CKP-6 მისგან 150 მეტრის დაშორებით მიეკურავდა, ხოლო „ბეზზავეტის“ Yorktown-ისგან მარცხნივ 50 მეტრის მიშორებით იყო. კიდევ ერთხელ გაიცვალა ზომადებს შორის სიგნალები. ამერიკულმა ზომადებმა ტერიტორიული წყლების დატოვებაზე კვლავ უარი განაცხადეს. მაშინ კი ორივე საბჭოთა გემმა მკვეთრად მოუმატა სიჩქარეს და მათზე ორჯერ უფრო დიდ ამერიკულ გემებზე „მიწოლით“ მიიტანეს იერიში. „ბეზზავეტის“ მოვლენათა მსვლელობას მუდმივად აცნობდა სამეთაურო პუნქტი: „კრესიერამდე დარჩა 20 მეტრი, 10 მეტრი... ასეთი რამ ორ დაპირისპირებულ საზღვაო ზესახელმწიფოს შორის არასოდეს მოხდარა. მაშინაც კი, როცა უფრო რთული ვითარება იყო და პირისპირ მდგომარეობაში ესკადრები და ორი ქვეყნის მუხვებზე ერთმანეთს საბიზნებები უყურებდნენ ზმელთაშუა ზღვაში. Yorktown-ის კიჩოს გემბანზე მუხვებზე იყვნენ შეგროვდნენ. ერთი მთახლოებულ „ბეზზავეტის“ უღებდნენ ფოტოს, სხვები ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებდნენ, მაგრამ როცა საბჭოთა გემის ცხვირი სახიფათო სიახლოვეს დაინახეს, მიხვდნენ, რომ საქმე სახუმაროდ არ ჰქონდათ და მაშინვე გათიანდნენ.

11 საათსა და 02 წუთზე „ბეზზავეტის“ კრესიერის მარცხენა ბორტს მიაწვა, გვერდი გაუხახუნა და კრესიერის გემბანის ნაწილი და რაკეტა „პარანის“ გასაშვები დანადგარი დატყვლიტა. ეს

ერთ-ერთი ვეკლაზე სახიფათო მანვერი იყო (თითქმის ტრანში), რადგან გასაშვებ მოწოდებობებში საბრძოლო, ერთიანი რაკეტები იყო მოთავსებულ საბედნიეროდ, არც ერთი მათგანი არ აფეთქებულა, კრესიერმა მინიმალური დაზიანება მიიღო. „ბეზზავეტის“ მოლოდინ მსუბუქად დაუზიანდა მარცხენა ბორტის გარსკამი, რაც მთავარია, არც ერთ ზომადელზე ხალხი არ დაშავებულა.

ამავე დროს CKP-6 მიაწვა Caron-ის მარცხენა ბორტს კიჩოს მიდამოებში და სათადარიგო ნავი დაუზიანა. თავად CKP-6-ს ფალშბორტი დატყვლიტა. მხოლოდ ზუსტი გათვლებისა და მეთაურის ოსტატობის წყალობით მოხერხდა ამ ურთულესი ოპერაციის ჩატარება ისე, რომ სახიფათო ზღვარი არ გადალახულა. ამასთან, მიუხედავად ურთულესი სიტუაციისა, თავიდან აიცილეს სერიოზული დაზიანებები და რაც მთავარია ოპერაციას ადამიანთა მსხვერპლი არ მოჰყოლია.

11 საათსა და 40 წუთზე ამდირაღმ ხრონიპული მოსკოვიდან მოსული ბრძანება გადასცა „ბეზზავეტის“ და CKP-6-ის კაპიტანებს: „გამორდით ამერიკულ გემებს და მოსთხოვეთ საბჭოთა ტერიტორიული წყლებიდან გასვლა. მზად იყავით იერიშის გასამორჯვლად“. ორივე ხრონიპული მოსკოვიდან ამერიკულ გემებს, მთა ახლოს ცურვა განაგრძეს და მანვერის გასამორჯვლად მოემზადნენ, მაგრამ ამ დროს ორივე ამერიკულმა გემმა მიმართულება შეცვალა და ტერიტორიული წყლებიდან გასვლის კურსს დაადგა. ნეტორულ წყლებში გასვლისთანავე ორივე გემი დრეფტზე დადგა, საიდანაც ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება დაიწყო. შემდეგ გემებმა კურსი ბოსფორის სრუტისკენ აიღეს. ასე დამთავრდა მსოფლიო ოკეანეში 30-წლიანი „ცივი ომის“ ერთ-ერთი უჩვეულო „სამხედრო-საზღვაო ოპერაცია“.

ასე გამოიყურებოდა ეს იქცია საბჭოთა საზღვდრო ნომადირი



# ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრი სამხედრო ბაზების ნაცვლად

## ახალი რუსული ხაფანგი საქართველოსთვის



ბესიან ერთად საქართველოს უშიშროების სამინისტრომ რამდენიმე ჩეჩენი (რუსების მტკიცებით, ტერორისტები): ადამ დეკუშვი, იუსუფ კრიშამალოვი და სხვები დააკავა და რუსეთის მხარეს გადასცა. იმ პერიოდში საქართველოს სპეცსამსახურებში ხელმძღვანელი მუშაკების ორი ჯგუფი არსებობდა – ერთი აშშ-ის სპეცსამსახურების დახმარებით ებრძოდნენ ტერორისტებს, ხოლო მეორე რუსეთის სპეცსამსახურების ოპერატიული ინფორმაციით სარგებლობდნენ და მათი მითითებით მოქმედებდნენ. ორივე ჯგუფი კი შევარდნაძის ლოცვა-კურთხევითა და სრული მხარდაჭერით სარგებლობდა. ასეთი იყო ახლი წარსულში აშშ-სა და რუსეთის შორის შევირდნაძის „დაბალანსების პოლიტიკა“, რისი წყალობითაც ის პოსტს ინარჩუნებდა.

3000 კაცს არ აღემატებოდა, 14-15-წლიანი პერიოდის მთხოვნა, გეოპოლიტიკა კა არა, აშკარა ცინიზმი იყო. გასულ წელს რუსული ბაზების გაყვანის დაწყებით, ხოლო 2006 წლის მარტში ოფიციალურ დოკუმენტზე ხელმოწერით კომპრომისის მიღწევა მოხერხდა. თუ ბაზები მართლაც 2008 წლის ბოლომდე დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას, ეს იმ დიდი ისტორიული მიზნის აღსრულება იქნება, რაზეც ორი საუკუნის განმავლობაში ცინებობდნენ ჩვენი წინაპრები.

### რის ითხოვს რუსეთი სამხედრო ბაზების ნაცვლად?

რუსეთი ძალზე მწვლად ეთხოვება იმპერიულ ამბიციებს. ასევე იყო სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ მოლაპარაკებების დროსაც – რუსეთის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა დროის გაჭანა-სურებას. საგარეოდაც, ასევე იქნება მომავალშიც, რადგან რუსეთი ვერ თმობს სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყანას – საქართველოს. რუსეთი ცდილობს სამხედრო ბაზები (რომლებიც, სიმართლე ითქვას, აღჭურვილობითა და პირადი შემადგენლობის მომზადების დონით გასული საუკუნის საბჭოთა ვადონაშთი იყო) გაცილებით მობილური და ეფექტიანი სტრუქტურები ჩაანაცვლოს. ამ ხელშეკრულების მე-20 მუხლში ერთი შესთავაზო უმნიშვნელო, მაგრამ რეალური საფრთხის შემცველი ჩანაწერი. კერძოდ, მითითებულია, რომ მხარეები იღებენ ვალდებულებას, გააგრძელონ მუშაობა ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის კონკრეტულ საკითხებზე. შერჩეულია საგარეო ტერიტორიაც – ბათუმის სამხედრო ბაზა. საქართველო-რუსეთის ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის (შემოკლებით ატც) დადებით და უარყოფით მხარეებზე წარმადგენა რომ შევეცქინას, მისი უკვე არსებული პროტოკოლის – „დოს უკე ატცს“-ის ხუთწლიანი საქმიანობა გაეანალიზოთ.

### საქართველოს ახდენილი ცოცხლობა

სამხედრო ბაზების გაყვანაზე მიღწეული შთაბეჭება, რომელიც საქართველოს მეგობარი ქვეყნების დიდი მონდობების შედეგად დაიბო, რუსეთის ხელისუფლებამ გეოპოლიტიკურ მარცხად აღიქვა. რუსეთი ყველანაირად ცდილობდა დროის გაჭანაურებას. რუსეთის არგუმენტები – ბაზების გაყვანის შემდგომი შედეგები ტექნიკური სიძნელეებისა და საჭირო ფინანსური სახსრების უქონლობა – ძალზე უსუსური იყო. თავად განსაკუთრებულ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში სსრკ-ის გენშტაბმა განიზრახა უნგრეთული და ჩეხოსლოვაკიანად გაძლიერებული დივიზიების, რომელთა პირადი შემადგენლობის საერთო რიცხვითობა 205 ათას ოფიცერთა და ჯარისკაცს შეადგენდა, წინასწარ მომზადებულ ადგილებზე გამოყვანა (საკონკრეტული ბინების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის ჩათვლით) და ოპტიმალურ პერიოდში 4-5 წელიწადი დაასხვია. სინაზიზმის და ამ პროცესის მხოლოდ წელიწადი დასჭირდა. ამ დროს კი საქართველოდან ორი სამხედრო ბაზის გასაყვანად, სადაც პირადი შემადგენლობა

ტერორიზმი რომ 21-ე საუკუნის უმატესი საფრთხეა, არაერთხელ დაერწმუნდით. „არსენალის“ ფურცლებზე ჩვენ უკვე წერდით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობასა და თანამედროვე მეთოდებზე. საქართველოს სპეცსამსახურებიც შეძლებს დაეკარგოს ებრძოდნენ და ებრძოდნენ ტერორიზმს, რამაც უდიდეს დახმარებას აშშ გვიწვეს, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი კი მხოლოდ სიტყვითა და კარგად ორგანიზებული პიარით „გვეხმარება“. რუსეთი სინამდვილეში თავად უხსნის სამხედრო სახსრების სხვადასხვა გზების კარგად შეიარაღებულ ბოიკოებს და დაუბრკოლებლად ატარებს საქართველოსკენ, უმთავრესად კი პანიკის ხეობისკენ. ამ მხაკერული პოლიტიკის გამო წლების განმავლობაში კი „სანაიკისის პრობლემა“ (რომელიც თვით რუსეთმა შეგვიჩნა) პუტინისთვის ის ბერეკტი იყო, რომლითაც წარმატებით ზემოქმედება შეუძლიადა ხელისუფლებას და „საქართველოს ტერორისტების მოსამზადებელი ბაზა“-ს ხშირი ძახლით მუცლადმა შეპყავდა დასავლეთის ქვეყნები. საქართველოს ხელისუფლებამაც იმ პერიოდში ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და 2002-03 წლებში რუსეთის ფე-უს-

# სამხედრო ტექნიკა

## დსთ-ის ატც-ის შექმნის ისტორია

მოქმედებით, ხშირი შემთხვევით, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმპრობო ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისები არ იციან ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არწილი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.

Затвор клиновой – სოლური საკეტი  
 Затвор откидной – გადასასწული საკეტი

Затвор поршневого – დეუმანი საკეტი

Затишь – მიწისძვრა

Затопление – დატბერვა, წალკვა

Затухающий – მიღედა

Затыльник – საკისური, ფორფიტა

Затыльник приклада – კინდანის ფორფიტა

Затяжной – დეფენსიური, გაჭიანურებული

Захват – დაჭრა, ჩაჭრა

Захват – დაჭრა, ხელში ჩაგდება

Захватчицкий – დაჭრითი, შტაბი

Заход – შეხველა, შემოხველა

Заход в тыл неприятелю – მტრის ურედიდან შემოხველა

Зашелка – საკეტელი

Зашита – დეფენსიური

Зашитник – დამცველი, მცველი

Защищать границы – საზღვრების დაცვა

Заявка – განაცხადი

Звание – წოდება

Звездобразный – ვარსკვლავისებრი

Звено – რეალი

Звено разведывательное – მხედრული რეალი

Звеньевод – ვოლსარინი

Звуковой – ბგერითი

Звукомаскировка – ბგერითმფილბვა

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამგობრობის შექმნა და საბჭოთა კავშირის შენარჩუნება ოდნავ ტრანსფორმირებული სახით თავიდანვე იყო რუსეთის ინტერესებში და ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში მისი პეკემონის შენარჩუნება-აღდგენას ისახავდა მიზნად.

რუსეთის პირველმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, თავად ყოფილმა საბჭოთა კომპარტიის ბოსმა, რეკომინდურად შეუწყო ხელი ყოფილ რუსულ რეპუბლიკებში თავისი კოლეგების – ადგილობრივი პარტიული ფუნქციონერების დაბრუნებას. რუსეთის საქართველოს და აზერბაიჯანში ეროვნული ხელისუფლებების სამხედრო ძალი დამხობის გეგმა მოამზადა და განხორციელდა კიდევ, რის შემდეგაც დააბრუნეს შევარდნაძე და შუთალიძე, თუ აზიის ყოფილ რესპუბლიკებში კომპარტიის ფუნქციონერებს (ნაზარბეკი, კარიმოვი, ნაზროვა და აკაევი) პოსტები შეუნარჩუნეს; ხოლო უკრაინის, ბულგარეთისა და მოლდავიის პროდასავლური მთავრობები 90-იანი წლების შუახანებში პრორუსული ძალებით შევიკადა.

მრავალჯერ აღვიხსენებს, რომ რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ ქვეყნის სპეცსამსახურები, რომელიც თავის მხრივ ძალზე ძლიერი ანალიტიკური სამსახურები აქვთ და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში არც ავენტურის ნაკლებობას უჩივიან.

რუსეთის სპეცსამსახურები მრავალჯერად ოპერატიული კომანდოების გათამაშებით დსთ-ის ქვეყნებში სახელმწიფო გადატრიალების ან პრეზიდენტზე თავდასხმის იმპეტაციას აკეთებდნენ და შემდეგ თავად გვეკვლინებოდნენ მხსნელის როლში. მსოფლიო ტერიორიზმის გლობალიზმის საფრთხე რუსეთის სპეცსამსახურებს სულზე მიუწერო, მათ უკვე აღარ სჭირდებათ დსთ-ის ქვეყნების სამხიო საკონტაქტო ნასარგებ საბაზის ძებნა.

საქართველოს, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის პრეზიდენტებს ტერიორიზმის არსებული და მოლონის საფრთხის ამანბნებდნენ. მათ რამდენჯერმე მოუწვევს ტერაქტი-გაურთხილება და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა (საინტერესოა, ამ ქვეყნების ლიდერებს „ბედი მაინც სწყალობდა“ და ყოველთვის უწებლენი ირებოდნენ).

შარტავის პოლიტიკა განსაკუთრებით გაძლიერდა, უფრო მიზანმიმართული და დაუნდობელი გახდა ხელისუფლების სათავეში პუტინისა და მისი გუნდის (უპირველესად თავდაცვის მინისტრ სერგეი ივანოვი) მოსვლის შემდეგ. სწორედ

კრემლის კაბინეტებში დაიბადა დსთ-ის ქვეყნების ერობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის იდეა, რომელიც შემდეგ პუტინის თხოვნით შუა აზიის „ტურამ“ – ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურ-სულითან ნაზარბეკმა გაასაზურა და თავის ინიციატივად გამოაცხადა.

